გზა არათავისუფლებისკენ

რუსეთი, ევროპა, ამერიკა

ტიმოთი სნაიდერი

თავი 1

2011 წელი: ინდივიდუალიზმი თუ ტოტალიტარიზმი?

ქვეყანას კანონი იცავს, უკანონობა კი ანადგურებს.

„საგა ნაიანზე“, დაახლოებით 1280

სუვერენია ის, ვინც იღებს გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის შესახებ.

კარლ შმიტი, 1922

პოლიტიკის გარდაუვალობის იდეა ამ იდეისთვის არსის გამოცლაა. ისინი, ვინც „გარდაუვალობის პოლიტიკის“ ზეგავლენის ქვეშ არიან, უარყოფენ, რომ იდეები მნიშვნელოვანია. ეს კი მოსაზრებას ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერთ ძლევამოსილ იდეას ემონებიან. „გარდაუვალობის პოლიტიკის“ დროშაზე აწერია, რომ ალტერნატივა არ არსებობს. თუკი ამ ყველაფერს ეთანხმები, ეს ნიშნავს, რომ უარყოფ პირად პასუხისმგებლობას, არ შეგიძლია ისტორია გაიაზრო და ცვლილებებზე იფიქრო. ცხოვრება სასაფლაოზე წინასწარ შერჩეულ, ფასიანი ადგილისკენ სიზმრისეულ სვლად იქცევა.

„მარადიულობა“ ისევ აღდგება „გარდაუვალობისგან“, როგორც სული გვამიდან. „გარდაუვალობის“ პოლიტიკის კაპიტალისტური ვერსია, როცა ბაზარი ანაცვლებს

პოლიტიკას, წარმოშობს ეკონომიკურ უთანასწორობას, რომელიც ძირს უთხრის პროგრესის რწმენას. როცა სოციალური მოძრაობები იყინება, „გარდაუვალობას“ მარადიულობა ანაცვლებს, დემოკრატიას კი – ოლიგარქია. ოლიგარქი, რომელიც ზღაპრებს ჰყვება უმწიკვლო წარსულის შესახებ, და ხშირად, ფაშისტურ იდეებს იშველიებს, ცრუ დაცვას ჰპირდება ადამიანებს, რომელთაც რეალურად სტკივათ. რწმენა, თითქოს ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიები თავისუფლებას ემსახურება, ამ ამოცანის შესრულებას აიოლებს. მაშინ, როცა დაბნეულობას კონცენტრაცია ენაცვლება, მომავალი სევდიანი აწმყოთი ნაცვლდება, ხოლო მარადიულობა ბანალურ ყოველდღიურობად იქცევა. ოლიგარქი გამონაგონი სამყაროდან რეალურ პოლიტიკაში ინაცვლებს და მითებისა და ხელოვნური კრიზისების საშუალებით მართავს. 2010-იან წლებში ერთი ასეთი ადამიანი, ვლადიმერ პუტინი დაეხმარა მეორეს – დონალდ ტრამპს, გაევლო გზა ფიქტიურიდან რეალურ ხელისუფლებამდე.

პირველად „მარადიულობის“ პოლიტიკა რუსეთმა დაამკვიდრა. როცა რუს ლიდერებს ეს იდეა ქვეყნის გარეთ გააქვთ, სინამდვილეში, საკუთარ თავს და საკუთარ ქონებას იცავენ. ოლიგარქმა ვლადიმერ პუტინმა საკუთარ მასწავლებლად ფაშისტი ფილოსოფოსი ივან ილინი აირჩია. 1953 წელს ჩესლავ მილოში წერდა, რომ „ზოგიერთი ევროპული ქვეყნის მოქალაქეებმა, როგორც წესი, სატანჯველის გამოვლის შემდგომ გააცნობიერეს, რომ რთული და ძნელი ფილოსოფიური წიგნები მათ ცხოვრებაზე ზემოქმედებს“. ივან ილინი რამდენიმე ფილოსოფიური წიგნის ავტორია, რომელთაც ახლაც დიდი წონა აქვს. 1990-2000 წლებში რუსულმა ხელისუფლებამ 1954 წელს გარდაცვლილი ილინის წიგნებს მეორე სიცოცხლე მიანიჭა, ხოლო ფაშიზმი, რომლითაც ოლიგარქები შეიარაღდნენ, დაეხმარა ქვეყნის ლიდერებს „გარდაუვალობიდან“ „მარადიულობისკენ“ გაეგრძელებინათ სვლა.

ილინის ეპოქის, 1920-იანი და 1930-იანი წლების ფაშიზმს სამი ძირითადი მახასიათებელი ჰქონდა: თვითნებობას და ძალადობას გონიერებასა და სამართლიანობაზე მაღლა აყენებდა; ამტკიცებდა, რომ ლიდერს საკუთარ ხალხთან მისტიკური კავშირი აქვს და გლობალიზაციას აღიქვამდა, როგორც შეთქმულებას და არა როგორც პრობლემების ერთობლიობას. დღეს „მარადიულობის პოლიტიკის“ სახით აღორძინებული ფაშიზმი, უთანასწორობის პირობებში კატალიზატორად იქცა ოლიგარქებისთვის, რათა საზოგადოებრივი დისკუსია ფიქტიური პოლიტიკით ჩაანაცვლონ, კონსტრუქციული ხმის მიცემის პროცედურა – დემოკრატიული პროცესის იმიტაციით, ხოლო კანონის უზენაესობა – პერსონალისტური რეჟიმით. ისტორია არასდროს მთავრდება, ალტერნატივები კი ყოველთვის არსებობს. ერთი

ასეთი ალტერნატივა ილინია. ის არ ყოფილა ერთადერთი ფაშისტი მოაზროვნე, რომელიც ჩვენმა თანამედროვეებმა მკვდრეთით აღადგინეს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის. ის მონობისკენ მიგვიძღვება, ბნელი გზებით გვატარებს „გარდაუვალობის პოლიტიკიდან“ მარადიულობამდე. ილინის იდეების გაცნობისა და მისი გავლენის მასშტაბის გაცნობიერების შემდეგ, შევძლებთ თვალი მივადევნოთ ამ გზას, მოვათვალიეროთ ლამპიონები და გასასვლელები. ეს ისტორიულ აზროვნებას ნიშნავს: გაგვიჩნდება შეკითხვა, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს წარსული ეპოქების იდეებს აწმყოსთვის; თუკი გლობალიზაციის ხანას, რომლის თანამედროვეც იყო ილინი, დღევანდელ დღეს შევადარებთ, გავაცნობიერებთ, რომ შესაძლებლობები წარსულშიც იყო, ახლაც არის და რომ ისინი ორზე მეტია. „გარდაუვალობას“ ბუნებრივად ფარავს „მარადიულობის“ ფარდა, მაგრამ სანამ ის ბოლომდე ჩამოშვებულა, ალტერნატივები უნდა ვიპოვოთ. „მარადიულობის“ არჩევით ვწირავთ ინდივიდუალობას და ვეღარ ვხედავთ მეტ შესაძლებლობას. „მარადიულობის“ იდეა გულისხმობს, რომ იდეები აღარ არსებობს.

1991 წელს, როცა სსრკ დაიშალა, „გარდაუვალობის პოლიტიკის" ამერიკელმა ადეპტებმა განაცხადეს, რომ „ისტორიის დასასრული“ დადგა. ამავდროულად, რუსების ნაწილი, რომელიც ახალ ავტორიტეტებს ეძებდა, ქვეყნის იმპერიულ წარსულს მიუბრუნდა. საბჭოთა კავშირს, რომელიც 1922 წელს შეიქმნა, მემკვიდრეობად რუსეთის იმპერიის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ერგო. საიმპერატორო სამფლობელოები ევროპის ცენტრიდან წყნარ ოკეანემდე, არქტიკიდან კი – ცენტრალურ აზიამდე იყო გადაჭიმული. მართალია, მეოცე საუკუნის დასაწყისში ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად გლეხობისა და მომთაბარეებისგან შედგებოდა, მაგრამ რუსული საშუალო კლასი და ინტელიგენცია მაინც მსჯელობდა, როგორ მოეხდინა თვითმპყრობელობის მიერ მართული ქვეყნის მოდერნიზაცია.

თავადების ოჯახში 1883 წელს დაბადებული ილინი თავისი თაობის ტიპური წარმომადგენელი იყო. 1900-იანი წლების დასაწყისში მასაც სურდა, რომ რუსეთი სამართლებრივი სახელმწიფო გამხდარიყო. პირველი მსოფლიო ომისა და ბოლშევიკური რევოლუციის (1917) შემდეგ ილინი მებრძოლ კონტრრევოლუციონერად იქცა, რაღაც დროის მერე კი – ბოლშევიზმის საპირწონედ შექმნილი ქრისტიანული ფაშიზმის დოქტრინის ავტორად.

1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნამდე რამდენიმე თვით ადრე, ილინი რუსეთიდან გაასახლეს (ე.წ. ფილოსოფიური გემით). ბერლინში მუშაობის დროს ილინმა სსრკ-ს მტრებს მოქმედების გეგმა შესთავაზა. ისინი, „თეთრები“, „წითლებს“ დიდხანს და სასტიკად ებრძოდნენ, მაგრამ ილინის მსგავსად, ბოლოს პოლიტიკურ ემიგრაციაში

მოუწიათ გამგზავრება. მოგვიანებით, საკუთარ შრომების სახით ილინმა რუსეთის მომავალი ლიდერებს, რომლებიც ხელისუფლებაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უნდა მოსულიყვნენ, სამოქმედო გეგმა შეუდგინა. ილინი შვეიცარიაში გარდაიცვალა 1954 წელს.

1991 წლის შემდეგ, როცა სსრკ-ს ნანგრევებზე წარმოიქმნა რუსეთის ფედერაცია, ილინის კრებული „ჩვენი ამოცანები“ ხელახლა დაბეჭდეს და მისი შრომების გამოცემაც დაიწყეს, ილინის დოქტრინას გავლენიანი მიმდევრები გამოუჩნდნენ. 2005 წელს პუტინმა გასცა ბრძანება, მოსკოვში გადმოესვენებინათ უცხოეთში გარდაცვლილი ფილოსოფოსი, ხოლო 2006 წელს ემისრები გააგზავნა ილინის არქივის დასაბრუნებლად, რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ როგორღაც მიჩიგანის უნივერსიტეტში მოხვდა. იმ ხანად პუტინმა ილინის ციტატები დაიმოწმა თავის ყოველწლიურ წერილში რუსეთის პარლამენტის ფედერალური ასამბლეის მიმართ. 2010-იან წლებში პუტინი იშველიებდა ილინის ავტორიტეტს, რათა გაემართლებინა ევროკავშირისთვის ზიანის მიყენება და უკრაინაზე თავდასხმა. როცა პუტინს სთხოვეს, დაესახელებინა საყვარელი ისტორიკოსი, მან ილინზე ილაპარაკა, როგორც ავტორიტეტზე ისტორიის საკითხებში.

რუსეთის პოლიტიკურმა კლასმა პუტინის მაგალითს მიჰბაძა. წამყვანმა პროპაგანდისტმა ვლადისლავ სურკოვმა ილინის იდეები თანამედროვე მედიას მიუსადაგა. სურკოვმა დაგეგმა პუტინის აღზევება და ხელმძღვანელობდა მედია ბაზრის მონოპოლიზაციას, რამაც უზრუნველყო პუტინის უსასრულოდ ყოფნა ხელისუფლებაში. დმიტრი მედვედევმა, რომელიც ფორმალურად უდგას სათავეში პუტინის პარტიას, რეკომენდაცია გასცა, რომ ილინი ახალგაზრდებსაც შეესწავლათ. ილინის სახელი პირზე ეკერათ ფსევდოპოზციის, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიისა (КПРФ) და რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის (ЛДПР) ლიდერებს, რომლებიც, ილინის რჩევების თანახმად, დემოკრატიის „ხილულობას“ უწყობდნენ ხელს. ილინს იმოწმებდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეც, მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფოსს კანონი ესმოდა, როგორც სიყვარული ბელადის მიმართ. ფილოსოფოსის ხსენება დაიწყეს გუბერნატორებმაც, როცა რუსეთი ისეთი ცენტრალიზებული გახდა, როგორადაც ილინი ხედავდა. 2014 წლის დასაწყისში მმართველი პარტიის წევრებსა და ჩინოვნიკებს ილინის პოლიტიკური სტატიების კრებულები დაურიგეს. 2017 წელს რუსეთის ტელევიზიით ბოლშევიკური რევოლუციის ასი წლის თავის აღსანიშნავად აჩვენეს ფილმი, რომლის ავტორებიც ილინს მორალურ ავტორიტეტად რაცხავდნენ.

ილინმა, „მარადიულობის პოლიტიკის“ იდეოლოგმა, დიდი გავლენა 1990-იან და 2000-იან წლებში მოიპოვა, როდესაც რუსეთში „გარდაუვალობის პოლიტიკის“ კაპიტალისტურმა ვერსიამ კრახი განიცადა. 2010-იან წლებში – როცა რუსული სახელმწიფო კლეპტოკრატიად იქცა და უთანასწორობამ დაუჯერებელ მასშტაბებს მიაღწია, ფილოსოფოსის გავლენა მაქსიმალურად გაიზარდა. რუსეთის კამპანიამ აშშ-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ ნათელი მოჰფინა რამდენიმე პოლიტიკურ ღირებულებას, რომელიც ილინს, როგორც ფილოსოფოს სძულდა და უარს ამბობდა მათზე: ინდივიდუალიზმს, მემკვიდრეობითობას, ინტეგრაციას, სიახლეს, სიმართლეს და თანასწორობას.

ილიმა საკუთარი იდეები პირველად თანამოქალაქეებს საუკუნის წინ, რუსეთის რევოლუციის შემდეგ გააცნო. და მიუხედავად ამისა, მაინც ჩვენი დროის ფილოსოფოსად იქცა. 21-ე საუკუნეში გასული საუკუნის არც ერთი მოაზროვნე ასე პომპეზურად არ გაუცოცხლებიათ და არცერთ მათგანს არ ჰქონია ამხელა გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე. ეს შეუმჩნეველი მხოლოდ იმიტომ რჩება, რომ „გარდაუვალობის“ ტყვეობაში ვართ: გვჯერა, რომ იდეებს მნიშვნელობა არ აქვს. ისტორიულად აზროვნება კი ნიშნავს იმის აღიარებას, რომ უცნობმა შეიძლება ღრმა მნიშვნელობა შეიძინოს, თუკი შევეცდებით, ნაცნობად ვაქციოთ. ჩვენი „გარდაუვალობის“ პოლიტიკა იმეორებს სწორედ იმას, რის თანამედროვეც იყო ილინი.

1980-იანების ბოლოდან 2010-იანი წლებამდე და 1889-იანებიდან 1910-იან წლებამდე გლობალიზაციის ხანა იდგა. ორივე ეპოქაში თვლიდნენ, რომ ექსპორტით სტიმულირებულ ეკონომიკურ განვითარებას მოაქვს განმანათლებლობის პოლიტიკა და ასევე, ბოლოს უღებს ფანატიზმს. პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა თანმხლებმა რევოლუციებმა და კონტრრევოლუციებმა ეს ოპტიმიზმი მოკლა. ილინიც ამ ტენდენციების ერთ-ერთი პირველი მაგალითია. ახალგაზრდობაში ის კანონის უზენაესობას იცავდა, მოგვიანებით კი მემარჯვენე რადიკალების რიგებს შეუერთდა და ამასთანავე, მემარცხენე რადიკალების ქმედებებითაც იყო აღფრთოვანებული. ილინის რუსეთიდან გასახლების შემდეგ, მალევე, ყოფილმა სოციალისტმა, ბენიტო მუსოლინიმ საკუთარი მომხრეები „რომზე სალაშქროდ“ დაძრა. მაშინ ფილოსოფოსი გარყვნილი მსოფლიოს იმედად სწორედ დუჩეს მიიჩნევდა.

ილინი ფაშიზმს მსოფლიო პოლიტიკას მომავალად სახავდა. 20-იან წლებში, ის განიცდიდა, რომ იტალიელები უფრო ადრე მივიდნენ ფაშიზმამდე, ვიდრე რუსები, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, „თეთრების“ მოძრაობამ მუსოლინის შთაგონება მისცა, რომელიც, „უფრო ღრმა და ფართოა, ვიდრე [იტალიური] ფაშიზმი“.

„სიღრმითა“ და „სიფართოვით“, განმარტავს ილინი, ის დავალებულია ქრისტიანობისგან, რომელიც მსხვერპლად ღვთის მტრების სისხლის მოითხოვდა. ილინი, რომელსაც 1920-იან წლებში სჯეროდა, რომ თეთრებს ჯერ კიდევ შეეძლოთ რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოსვლა, ასე მიმართავდა მათ: „ჩემი თეთრი ძმები, ფაშისტები".

ასეთივე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ილინზე ადოლფ ჰიტლერმაც. ილინი იტალიაში დადიოდა და შვეიცარიაში ისვენებდა, მაგრამ 1922-1938 წლებში ბერლინში ცხოვრობდა, სადაც გერმანიის ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ რუსულ ინსტიტუტში მუშაობდა. მას გერმანელი დედა ჰყავდა, ფროიდს ორიგინალის ენაზე კითხულობდა, გერმანულ ფილოსოფიას სწავლობდა და გერმანულიც ისევე კარგად იცოდა, როგორც რუსული. რუსულ ინსტიტუტში ის წერდა და არედაქტირებდა კრიტიკულ შრომებს საბჭოთა პოლიტიკის შესახებ (მაგ. „მსოფლიო უფსკრულის პირას“, გერმანულად და „ბოლშევიზმის შხამი“, რუსულად. 1931) ილინი მიიჩნევდა, რომ ჰიტლერი იხსნიდა მსოფლიოს ბოლშევიკებისგან. „გერმანელმა ფიურერმა – წერდა ის, შეაჩერა გერმანიის ბოლშევიზაცია და ამით უდიდესი სამსახური გაუწია მთელ ევროპას“. ილინი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ჰიტლერის ანტისემიტიზმი რუსული თეთრი მოძრაობიდან იღებდა სათავეებს და წუხდა, რომ „ევროპას არ ესმის ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის არსი“, და რომ ნაციზმი ყველანაირ „სულიერებაზე“ მაღლა დგას და მას რუსებიც უნდა ეზიარონ.

1838 წელს, როცა ილინი გადავიდა შვეიცარიაში (სადაც 1954 წელს გარდაიცვალა), ფინანსურად მას გერმანული წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენის მეუღლე ეხმარებოდა. ამას გარდა, გერმანულად კითხულობდა ლექციებს. შვეიცარიელი მეცნიერის ლექციების ძირითადი სულისკვეთება ის იყო, რომ რუსეთი უნდა აღექვათ არა როგორც კომუნისტური საფრთხე, არამედ როგორც სამომავლო ქრისტიანული ხსნა. ილინის აზრით, კომუნიზმი რუსეთს თავს მოახვია გარყვნილმა დასავლეთმა, მაგრამ ერთ დღეს რუსეთი ქრისტიანული ფაშიზმის დახმარებით გაათავისუფლებდა საკუთარ თავსაც და სხვებსაც. ერთ-ერთმა შვეიცარიელმა მიმომხილველმა მის წიგნები დაახასიათა, როგორც „ნაციონალისტური, იმიტომ, რომ მთელ დასავლეთს ეწინააღმდეგება“.

ილინს პოლიტიკური შეხედულებები არ შეუცვლია მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგაც. შვეიცარიაში ის რადიკალ მემარჯვენეებთან მეგობრობდა: რუდოლფ გრობი თვლიდა, რომ შვეიცარიამ უნდა მიბაძოს ნაცისტურ გერმანიას; თეოფილ სპოერი იმ ჯგუფის წევრი იყო, რომელიც დევნიდა ებრაელებსა და მასონებს; ალბერტ რიდვეგის, მემარჯვენე იურისტის ძმა, ფრანცი ყველაზე ცნობილი შვეიცარიის

მოქალაქე იყო ნაცისტების სასიკვდილო მანქანაში. ფრანც რიედვეგმა გერმანიის ომის მინისტრის ქალიშვილზე იქორწინა და ნაცისტურ SS-ს შეუერთდა. მონაწილეობდა გერმანიის სამხედრო ოპერაციებში პოლონეთში, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირში, რომელთაგან უკანასკნელს ილინი ბოლშევიზმის გამოცდად მიიჩნევდა და იმედოვნებდა, რომ ნაცისტებს, შესაძლოა, გაეთავისუფლებინათ რუსები.

1945 წელს, როცა საბჭოთა კავშირმა მოიგო ომი და საბჭოთა იმპერია დასავლეთით გააფართოვა, ილინმა დაიწყო წერა რუსების მომავალი თაობებისთვის. ფილოსოფოსი თვლიდა, რომ მისი შრომები იყო პატარა კოცონი, რომელიც დიდ სიბნელეში აინთებოდა. 2010-იანი წლებში კი, რუსმა ლიდერებმა ამ პატარა ცეცხლით ხანძარი გააჩინეს.

ილინი თანამიმდევრული იყო. მისი მთავარი ფილოსოფიური ნაშრომი რუსულ ენაზე, რომელიც 1916 წელს დაიბეჭდა, ამასთანავე გერმანულ ენაზე გამოცემულ მთავარ ფილოსოფიური ნაშრომადაც იქცა (1946).

ილინი ამტკიცებდა, რომ სამყაროში ერთადერთი სიკეთე იყო: ღმერთის მთლიანობა, რომელიც შესაქმემდე არსებობდა. როცა ღმერთმა სამყარო შექმნა, დაამსხვრია ერთიანი და სრული ჭეშმარიტება, ანუ, საკუთარი თავი. ილინმა სამყარო ერთი მხრივ, დაყო „კატეგორიულად“ – ერთიან, სრულყოფილ მთლიანობად, რომელიც დაიკარგა და მეორე მხრივ, „ისტორიულად“, ადამიანების ცხოვრებად და ვნებებად. მისთვის არსებობის ტრაგედია ის იყო, რომ ვერც ფაქტები და ვეღარაც ვნებები ვეღარ აღდგებოდა ღმერთის მთლიანობაში. რუმინელმა მოაზროვნემ ემილ ჩორანმა, ოდესღაც ქრისტიანული ფაშიზმის დამცველმა, ასე განმარტა ეს კონცეფცია: ისტორიის დაწყებამდე ღმერთი სრულყოფილი და მარადიულია; როგორც კი ისტორიას იწყებს, ღმერთი „შეშლილია და შეცდომებს უშვებს“. ილინი ამბობდა: „როდესაც ღმერთი ჩაიძირა ემპირიულ არსებობაში, მას მოაკლდა ჰარმონიული ერთიანობა, ლოგიკური საფუძველი და მიზანი“.

ილინისთვის ჩვენი ადამიანური სამყარო თავისი ფაქტებითა და ვნებებით აზრს მოკლებულია. ის ამორალურად მიიჩნევდა ფაქტების ისტორიულ გარემოში აღქმას: „ემპირიული ყოფიერება თეოლოგიურად შეიძლება არც იყოს გამართლებული“. გრძნობისმიერი კი – ბოროტია. ღმერთმა შეცდომა დაუშვა სამყაროს შექმნისას, როცა გაათავისუფლა „მგრძნობიარე, ბოროტი ბუნება“. ის დაემორჩილა „რომანტიკულ“ იმპულსს, როცა შექმნა არსებები, რომლებსაც სექსუალური ვნებები ამოძრავებთ. ასე რომ, „სამყაროს რომანტიკული შინაარსი ამარცხებს აზროვნების რაციონალურ

ფორმებს, ხოლო აზროვნება საკუთარ ადგილს გაუაზრებელ მიზანს, ფიზიკურ სიყვარულს უთმობს“. ღმერთმა „სულიერი და მორალური რელატივიზმის“ პირობებში მიგვატოვა.

ილინი გმობს ღმერთს და წინ წამოწევს ფილოსოფიას, უფრო სწორედ – ფილოსოფოსს, კიდევ უფრო სწორედ – საკუთარ თავს. ის ინარჩუნებს ღვთაებრივი „მთლიანობას“ ხედვას, რომელიც არსებობდა სამყაროს შექმნამდე და სურს გვაჩვენოს, თუ როგორ შეიძლება მისი აღდგენა. რაც ღმერთი ჩამოაშორა სცენას, უკვე თავად ილინს შეეძლო განესაჯა, თუ რა არის და რა უნდა იყოს: ღვთიური სამყარო არსებობს და როგორმე უნდა გადარჩეს. ეს წმინდა საქმე კი იმ ადამიანების გასაკეთებელია, რომლებიც ილინის და მისი წიგნების წყალობით გააცნობიერებენ საკუთარ საცოდავ მდგომარეობას.

ეს ტოტალიტარული ხედვაა. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა ყველანი ერთნაირად დავიწყებთ აზროვნებას, ანუ, საერთოდ აღარ ვიაზროვნებთ და ვიგრძნობთ. აღარ უნდა ვიყოთ ინდივიდები. „ეშმაკი იქვეა, – წერდა ილინი, – სადაც ადამიანი იწყება“. ჩვენი ინდივიდუალიზმი მიუთითებს იმაზე, რომ სამყარო ბიწიერია: „ადამიანური არსებობის ემპირიული დანაწევრება სამყაროს არასწორი, არასრული და მეტაფიზიკურად მცდარი მდგომარეობა“. ილინს სძულდა საშუალო ფენა, სამოქალაქო საზოგადოება და პირადი ცხოვრება. თვლიდა, რომ სწორედ ისინი აზიანებდნენ სამყაროსა და ღმერთის წესრიგს. ხოლო ფენა, რომელიც სოციალური ცხოვრების გაუმჯობესება შეეძლო, ილინის აზრით, „სოციალური ცხოვრების ყველაზე დაბალ საფეხურზე“ იდგა.

„მარადიულობის პოლიტიკა“, ისევე, როგორც უკვდავების ნებისმიერი შემთხვევა, საკუთარი უნიკალურობის განმტკიცებით იწყება: ყველაფერი, რაც ჩემსა და ჩემი ჯგუფის გარეთ არსებობს, ბოროტებაა, რადგან ეს ჯგუფი – ჩემია. დაე, ყველა დანარჩენი ასცდეს გზას, მოაჯადოოს ისტორიულმა ფაქტებმა და ვნებებმა: ჩემი ხალხი ისტორიის მიღმაა და უდანაშაულოა. და რადგან სიკეთე უხილავია და ჩვენშია, მოქმედების ერთადერთი გზაა ჩვენი უდანაშაულობის დაცვაა და ამისთვის არაფერს არ უნდა მოვერიდოთ. „მარადიულობის პოლიტიკის“ მიმდევრები არ აპირებენ ცხოვრებას უფრო დიდხანს, ბედნიერად ან ნაყოფიერად. ისინი ტანჯვას სამართლიანობად აღიქვამენ, თუკი ჩათვლიან, რომ სხვები კიდევ უფრო მეტად იტანჯებიან. ცხოვრება ამაზრზენი, სასტიკი და ხანმოკლეა. მთავარი სიამოვნებაა კი ისაა, რომ შეიძლება სხვების ცხოვრება კიდევ უფრო ხანმოკლე, ღარიბული, სასტიკი და ამაზრზენი გახადო.

რუსეთისა და რუსებისთვის ილინმა გამონაკლისი დაუშვა. რუსებისთვის

დამახასიათებელი უმწიკვლოება უხილავია დანარჩენი სამყაროსთვის, ხოლო ხსნისათვის საჭიროა რუსეთი დავინახოთ არა ისე, როგორადაც მოჩანს. რეალობა მხოლოდ სამყაროს ფრაგმენტებია, ხოლო ჭეშმარიტი ხედვა უხილავის ჭვრეტას გულისხმობს. კორნელიუ ზელეა კოდრეანუმ, რუმინული ფაშიზმის ფუძემდებელმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ციხეში მთავარანგელოზი მიქაელი ეწვია, თავისი მოსაზრებები რამდენიმე სტრიქონში ჩაატია. ილინს კი რამდენიმე წიგნი დასჭირდა, რათა საკუთარი შეხედულებები გადმოეცა, თუმცა, ყველა მათგანი ეფუძნებოდა იმას, რომ რუსი ხალხი კეთილშობილია და ამ თვალთახედვის სიწმინდე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც რუსები რეალურად აკეთებენ. უცოდველი ერი – ასეთია ფილოსოფოსის ხედვა, რომელმაც თავი დააბრმავა.

უმწიკვლოება აქ განსაკუთრებულ ბიოლოგიურ ფორმას იღებს. ილინი ოცნებობდა რუსეთის ქალწულებრივ სხეულზე. ფაშისტებისა და ავტორიტარიზმის იმდროინდელი თაყვანისმცემლების მსგავსად, ილინი დარწმუნებული იყო, რომ რუსი ხალხი ჩამოჰგავდა ცოცხალ არსებას, ცხოველს, რომელიც ჯერ კიდევ სამოთხეშია პირველცოდვის გარეშე. ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ამ „ერთიან ცოცხალ ორგანიზმს" არ იყვნენ დამოუკიდებლები – ისევე როგორც ამ ორგანიზმის უჯრედები. რუსული კულტურა, – წერდა ილინი, – ავტომატურად წარმოშობს „ძმურ ერთობას“, სადაც რუსეთის ძალაუფლება ვრცელდება. ილინმა ბრჭყალებში ჩასვა სიტყვა *უკრაინელები*, რადგან უარყოფდა მათ დამოუკიდებელ არსებობას რუსული სივრცის გარეთ. უკრაინაზე საუბარი ნიშნავდა, რომ რუსეთის მოსისხლე მტერი იყავი. ილინი თვლიდა, რომ უკრაინაც პოსტსაბჭოთა რუსეთის ნაწილი უნდა გამხდარიყო.

ილინი ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ფაქტებისა და ვნებების მთელ სატანურ ენერგიას ერთ ადგილას მოუყარა თავი. ამავე დროს, მისი აზრით, კომუნისტური იდეების ტრიუმფმა აჩვენა, რომ რუსეთი უფრო მეტად უცოდველია, ვიდრე – გარყვნილი. კომუნიზმი, – ამბობდა ის, – გარედან თავსმოხვეული ცდუნებაა, რომელიც რუსებს „ტარზანებად“ აქცევს. უცხოელებს სურთ გარყვნან უმწიკვლო რუსეთი, რადგან ის გულუბრყვილო და დაუცველია. 1917 წელს რუსები უბრალოდ ზედმეტად კარგები იყვნენ, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ დასავლეთიდან შემოსული ცდუნებისთვის. მიუხედავად საბჭოთა ლიდერების სისასტიკისა, რუსებმა შეინარჩუნეს სიწმინდე, რომელსაც ყველა ვერ ხედავდა. ევროპისა და ამერიკისგან განსხვავებით, სადაც ფაქტებსა და ვნებებს სიცოცხლედ მიიჩნევენ, რუსეთმა შეინარჩუნა „სული“, ღმერთის უნივერსალურობის კვალი. „ხალხი ღმერთი არ არის“, – წერდა ილინი, –„მაგრამ მათი სულის ძალა ღვთისგანაა".

როცა ღმერთმა შექმნა სამყარო, რუსეთმა როგორღაც გვერდი აუარა ისტორიას და მარადიულობაში ჩარჩა. შესაბამისად, ის დროის დინების და „თვითნებობისა და გათვალისწინების“ მიღმაა. მისი აზრით, რუსეთის არსებობა ციკლურია და გულისხმობს საფრთხეებს და მათგან თავის დაცვას. ქვეყანაში მუდმივად ხდება ორი რამ – უცხოელთა თავდასხმა უმწიკვლო რუსეთზე ან მისი შურისძიება, რომელიც გამართლებულია. ილინმა (ბევრი არაფერი იცოდა რუსეთის ისტორიის შესახებ) ამ სქემაში იოლად მოათავსა რამდენიმე საუკუნე. ის ნახევარი ჩრდილოეთ აზიისა და ევროპის დაპყრობას „თავდაცვად“ მიიჩნევდა. ილინის აზრით, რუსების მიერ წარმოებული ყველა ომი, გამონაკლისის გარეშე, თავდაცვითი იყო. რუსეთი მუდმივად ხდებოდა ევროპის "კონტინენტური ბლოკადის" მსხვერპლი. ილინი თვლიდა, რომ რუსი ხალხი ქრისტიანობის მიღების შემდეგ თითქმის ათასი წლის განმავლობაში ითმენდა ისტორიულ ტანჯვას. რუსეთი ცუდს არაფერს აკეთებდა. ბოროტება მხოლოდ ის იყო, რასაც რუსეთს უკეთებდნენ. ფაქტებს არ ჰქონდა მნიშვნელობა. პასუხისმგებლობა აღარ არსებობდა.

ბოლშევიკურ რევოლუციამდე ილინი სამართალს სწავლობდა და პროგრესისა სჯეროდა. 1917 წლის შემდეგ ყველაფერი შესაძლებელი და დასაშვები ჩანდა. ილინი თვლიდა, რომ ულტრამემარცხენეების უკანონობას უნდა დაეჯაბნა ულტრამემარჯვენეების კიდევ უფრო დიდი ტირანია. მოგვიანებით, თავის გვიანდელ ნამუშევრებში, ილინი უკანონობას აღწერდა, როგორც პატრიოტთა მიერ ჩადენილ სიქველეს. „ფაქტი ისაა, – წერდა ილინი, – რომ ფაშიზმი პატრიოტულ თვითნებობას გამოისყიდის. რუსული სიტყვა თვითნებობა (произвол), ყოველთვის სძულდათ რუს რეფორმატორებს. ილინი, რომელიც თვითნებობას პატრიოტულ ფენომენად მიიჩნევდა, უარყოფდა კანონზე დაფუძნებულ რეფორმებს და აცხადებდა, რომ პოლიტიკა ამიერიდან ერთპიროვნული მმართველის ახირებას უნდა მიჰყოლოდა.

ილინის მიერ სიტყვა „მხსნელის“ გამოყენება პოლიტიკას ღრმა რელიგიურ მნიშვნელობას ანიჭებს. ილინი, ისევე, როგორც სხვა ფაშისტები, (მაგალითად, ადოლფ ჰიტლერი წიგნში „ჩემი ბრძოლა“), საკუთარი მიზნებისთვის ამახინჯებდა ქრისტიანულ კონცეფციებს მსხვერპლისა და გამოსყიდვის შესახებ. ჰიტლერი ამტკიცებდა, რომ სამყაროს ებრაელებისგან გათავისუფლებით, ის შორეულ ღმერთს დააბრუნებდა. „ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ვმოქმედებ მთლიანად ყოვლისშემძლე შემოქმედის სულისკვეთებით“, – ამბობდა ჰიტლერი. „ებრაელთა განადგურებისთვის რომ ვიბრძვი, ვიბრძვი ღვთის საქმისთვის“. რუსული სიტყვით „მხსნელი“ მართლმადიდებლები, როგორც წესი, აღნიშნავენ იესოს მიერ გოლგოთაზე მორწმუნეთა ცოდვების გამოსყიდვას. ილინი ფიქრობდა, რომ რუსეთს

სჭირდებოდა მხსნელი, რომელიც ძალაუფლებისკენ მიმავალ გზაზე სხვის სისხლს დაღვრიდა და ასე აღასრულებდა მსხვერპლშეწირვას. ფაშისტური გადატრიალება იქცეოდა ხსნის აქტად, პირველ ნაბიჯად ღვთაებრივი მთლიანობის გზაზე.

ვინც გარყვნილ სამყაროს გადაარჩენს, არ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, თუ რას ამბობდა ღმერთი სიყვარულზე. ქრისტე მოსწავლეებს უქადაგებდა, რომ ღმერთის სიყვარულის შემდეგ უმნიშვნელოვანესია მოყვასის სიყვარული. კეთილი სამარიტელის იგავში იესო იმოწმებს ლევიანნს: „თუ დაგიდგება მდგმურად ვინმე თქვენს ქვეყანაში, ნუ შეავიწროებ მას. როგორც მკვიდრი, ერთი თქვენთაგანი, ისე იყოს თქვენთვის თქვენს შორის მდგმურად დამდგარი კაცი. გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი. რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი“ (19.33-34). ილინისთვის არ არსებობს „მოყვასი“. ინდივიდი ამორალური და ცვალებადია და ერთადერთი კავშირი, რომელსაც მნიშვნელობა ენიჭება, დაკარგული ღვთაებრივი მთლიანობაა. და რადგან სამყარო არ არის სრულყოფილი, ღვთის სიყვარული გულისხმობს უწყვეტ ბრძოლას „ღვთის საქმის მტრებთან დედამიწაზე“. ამ ომში მონაწილეობის გარდა სხვა რამის კეთება ბოროტებაა: „ვინც ეშმაკთან რაინდული ბრძოლის წინააღმდეგია, ეშმაკისკენაა“. რწმენა ნიშნავს ომს: „ჩემი ლოცვა მახვილსა ჰგავს; „ჩემი მახვილი – ლოცვაა“.

ვინაიდან სამყარო ცოდვილია და ღმერთმა მიატოვა, მხსნელი სადღაც ისტორიის მიღმიდან უნდა გამოჩნდეს. ილინი თვლიდა, რომ „ძალაუფლება თავისთავად ეძლევა ძლიერ ადამიანს.“ არსაიდან უნდა გამოჩენილიყო ვიღაც, ხოლო რუსებს უნდა ეცნოთ საკუთარი მხსნელი: „თავისუფლებას და კანონებს მივიღებთ რუსი პატრიოტისგან, რომელიც რუსეთს იხსნის“. მხატვრული ლიტერატურიდან გამოსული მხსნელი უარყოფს ფაქტებს და ლეგენდებით იქნება მოსილი. რუსების ცოდვებს იტვირთავს და „ეშმაკისეულ გარყვნილებას“ უზარმაზარ ერთიანობად გარდაქმნის. ლიდერს ძლიერი ნებისყოფა უნდა ჰქონდეს და ისეთივე მამაცი ადამიანი უნდა იყოს, როგორც მუსოლინია. „ის გამოიბრძმედა ხალხის სამსახურში, მამაც, ვაჟკაცურ და სწორ სამსახურში. ის შთაგონებულია ერთიანობის სულით და არა კონკრეტული პირადი ან პარტიული მიზნებით. ის მარტო დგას და მარტო მიდის, რადგან პოლიტიკის მომავალს ჭვრეტს და იცის, რა უნდა გააკეთოს“. რუსები ქედს მოიხრიან „რუსეთის ცოცხალი ნაწილის, ნაციონალური თვითგადარჩენის შესაძლებლობის წინაშე“.

მხსნელი არად აგდებს ფაქტებს, თრგუნავს ვნებებს, ქმნის მითებს და თავისსავე არჩეულ მტერს ძალადობრივად უსწორდება. ფაშისტს სძულს საზოგადოებიდან წამოსული ნებისმიერი პოლიტიკა (მისი პრეფერენციები, ინტერესები, მომავლის ხედვები, წევრების უფლებები და ა.შ.). ფაშიზმი იწყება არა იმის შეფასებით, თუ რა

არის შიგნით, არამედ იმის უარყოფით, რაც გარეთაა. გარემომცველი სამყარო დიქტატორისთვის მტრის ხატის შექმნას ემსახურება. ილინმა, ნაცისტი სამართალმცოდნისა და თეორეტიკოსის კარლ შმიტის მსგავსად, განსაზღვრა პოლიტიკა, როგორც „მტრის იდენტიფიცირებისა და განეიტრალების ხელოვნება“. ხოლო თავისი სტატია – „რუსული ნაციონალიზმის შესახებ“ დაიწყო იმ მარტივი მაქსიმით, რომ „რუს ერს ჰყავს მტრები“. მთელი გარყვნილი სამყარო უპირისპირდება რუსეთს, რადგან რუსეთი ღვთაებრივი მთლიანობის ერთადერთი წყაროა.

მხსნელს აქვს ვალდებულებაც და უფლებაც, იომოს იმასთან, ვისთანაც სურს. ილინი თვლიდა, რომ ომი გამართლებულია მაშინ, როცა „ერის სულიერებას საფრთხე ემუქრება“, რაც მუდმივად გაგრძელდება, მანამ, სანამ ინდივიდუალიზმი არ დასრულდება. ღმერთის მტრების წინააღმდეგ ომის დაწყება უმწიკვლოების დემონსტრირებას ნიშნავს. სწორედ ომი (და არა სიყვარული) ათავისუფლებს ვნებებისგან, რადგან საფრთხეს კი არ უქმნის, არამედ იცავს ეროვნული სხეულის ქალწულობას. გავიხსენოთ, რომ 1930-იან წლებში რუმინელი ფაშისტები უმღეროდნენ „რკინით შემოსილ მკერდს“ და „შროშანას დარ თეთრ სულებს“. რუსეთის მხსნელს, სხვები სისხლისღვრაში ჩაეთრია, რითაც ქვეყნის მთელ სექსუალურ ენერგიას თავისკენ მიიზიდავდა და გამოათავისუფლებდა. ომი ერთადერთი „ექსცესი“ იყო, რომელსაც ილინი უჭერდა მხარს, როგორც ქალწულებრივი ორგანიზმისა და სამყაროს მხსნელის მისტიურ ერთიანობას. ჭეშმარიტი „ვნება“ ფაშისტური ძალადობაა, ხოლო მოღერებული ხმალი – ლიტურგიაზე მუხლმოდრეკილი ლოცვა.

„ყველაფერი იწყება მისტიკით და პოლიტიკით მთავრდება“, – ამბობდა პოეტი ჩარლზ პეგი. ილინის ფილოსოფია 1916 წელს ღმერთის, სექსისა და ჭეშმარიტების ჭვრეტით დაიწყო, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ გარდაისახა კრემლის იდეოლოგიად და ომის გამართლებად უკრაინის, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

განადგურება ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე შექმნა. ილინს გაუჭირდა იმის დაზუსტება, თუ რა ინსტიტუციური ფორმა უნდა ჰქონოდა აღორძინებულ რუსეთს. ილინის მიერ გადაუჭრელი საკითხები დღეს რუსეთის ლიდერებსაც აწუხებთ. მათგან მთავარი რუსული სახელმწიფოს მდგრადობაა. სამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც ხელისუფლების ცვლილებას უშვებს, საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, წარმოიდგინონ მომავალი, როცა ლიდერები იცვლებიან, მაგრამ სახელმწიფოები

რჩება. ფაშიზმი კი წმინდა და მარადიული კავშირია მხსნელსა და მის ხალხს შორის. ფაშისტი წარმოგვიდგენს ინსტიტუტებსა და კანონებს, როგორც შებილწულ ბარიერებს ლიდერსა და ხალხს შორის, რომელთაც გვერდი უნდა აუარონ ან გაანადგურონ.

ილინს უნდოდა შეექმნა რუსული პოლიტიკური სისტემა, მაგრამ ვერასოდეს ამოხსნა ეს თავსატეხი. ის ცდილობდა პრობლემის გადაჭრისას მხსნელი სემანტიკურ ინსტიტუტად ექცია. მხსნელი განიხილავდა, როგორც „ლიდერს“ (გოსუდარს), „სახელმწიფოს მეთაურს“, „დემოკრატიულ დიქტატორს“ და „ეროვნულ დიქტატორს“. ამ ტიტულების ერთობლიობა 1920-იანი და 1930-იანი წლების ფაშისტურ ლიდერებს მოგვაგონებს. მხსნელი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ყველა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ფუნქციაზე და შეიარაღებული ძალებისთვისაც ეხელმძღვანელა. რუსეთი ცენტრალიზებული სახელმწიფო უნდა გამხდარიყო ფედერალური ერთეულების გარეშე. რუსეთი არ უნდა ყოფილიყო ისეთი ერთპარტიული სახელმწიფო, როგორებიც 1930-იანი წლების ფაშისტური რეჟიმები იყო, არამედ ნულოვანი პარტიების სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო. ის მხოლოდ მხსნელს უნდა გადაერჩინა. ილინის აზრით, პარტიები მხოლოდ არჩევნების იმიტაციაში დასახმარებლად იყო საჭირო.

ილინი ფიქრობდა, რომ რუსებისთვის თავისუფალ არჩევნებში ხმის მიცემის შესაძლებლობა ემბრიონების მიერ სახეობის არჩევის უფლებას დაემსგავსებოდა. ფარული კენჭისყრით ხმის მიცემა მოქალაქეებს საშუალებას აძლევდა, საკუთარი თავი ინდივიდებად აღექვათ და ამით დაედასტურებინათ სამყაროს შერყვნილი არსი. რადგან „დემოკრატიის პრინციპი უპასუხისმგებლო ადამიანი-ატომია“, ამიტომ ინდივიდუალობა პოლიტიკური ტრადიციით უნდა დაძლეულიყო, რომელიც გააჩენდა და გააძლიერებდა რუსების კოლექტიურ სიყვარულს მხსნელის მიმართ. ამრიგად, უარი უნდა ეთქვათ პოლიტიკის მექანიკურ და არითმეტიკული გაგებაზე, ისევე, როგორც „ხმების რაოდენობისა და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ბრმა რწმენაზე“. არჩევნები საყოველთაო მორჩილების აქტად უნდა ქცეულიყო. ხმის მიცემა უნდა ყოფილიყო საჯარო, ხოლო ბიულეტენები – ხელმოწერილი.

ილინის მიერ წარმოდგენილი საზოგადოება, კორპორაციული სტრუქტურაა, სადაც თითოეულ ადამიანს და ყველა ჯგუფს განსაზღვრული ადგილი უკავია. აღარ იარსებებს განსხვავება სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის, არამედ იქნება „ხელისუფლების ორგანულ-სულიერი ერთობა ხალხთან და ხალხისა – ხელისუფლებასთან“. მხსნელი მარტოდმარტო ავა მაღლა, საშუალო ფენა კი ყველაზე უფრო ქვემოთ დარჩება. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საშუალო კლასი იმიტომაა საშუალო, რომ იქიდან გამოსული ადამიანი შეიძლება დაწინაურდეს (ან დაეცეს).

საშუალო კლასების ყველაზე დაბლა დაყენება უთანასწორობის გამართლებას ნიშნავს. სოციალური მობილობა სრულიად გამორიცხულია.

შესაბამისად, ფაშისტი ილინის პროგრამა დასაშვებად მიიჩნევს და ამართლებს ოლიგარქიას, რამდენიმე მდიდარი ადამიანის მმართველობას – იმას, რაც 2010-იანი წლების რუსეთში ხდებოდა. თუ სახელმწიფოს მიზანი მხსნელისა და მისი მეგობრების სიმდიდრის დაცვაა, მაშინ შეუძლებელი ხდება კანონის უზენაესობა. კანონის უზენაესობის არასებობის ვითარებაში ძნელია იმ ფულის შოვნა, რომელიც უკეთესი ცხოვრების საშუალებას იძლევა. სოციალური წინსვლის გარეშე არც მომავალზე საუბარია დამაჯერებელი. სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტე გადაიზრდება ლიდერის მისტიკურ კავშირში საკუთარ ხალხთან. მმართველობის ნაცვლად ლიდერი აწარმოებს კრიზისს და მართავს სპექტაკლს. კანონი აღარ ემსახურება ნეიტრალურ ნორმებს, რომლებიც სოციალური წინსვლის საშუალებას იძლევა, არამედ ამყარებს სტატუს კვოს: დაკვირვების უფლებასა და გართობის ვალდებულებას.

ილინმა გამოიყენა სიტყვა „კანონი“, თუმცა, კანონის უზენაესობას არ აღიარებდა. „კანონში“ ის გულისხმობდა კორელაციას მხსნელის ჭირვეულობასა და დანარჩენების მორჩილებას შორის. ისევ გავიმეორებ: განვითარებად ოლიგარქიას ფაშისტური იდეა კარგად მიესადაგება. თავდადებული მასის ამოცანად იქცევა, მხსნელის ნებისმიერი ახირება სამართლებრივ ვალდებულებად აქციოს. რა თქმა უნდა, ეს ორმხრივი არ ყოფილა. რუსების „სულის განსაკუთრებულობა“, საშუალებას აძლევდა მათ, არ მოესმინათ გონებისთვის და კანონი „მთელი გულით“ მიეღოთ. შესაბამისად, ილინი მიხვდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალურის წაშლის მცდელობას ეროვნული მორჩილების სასარგებლოდ. რუსები, მხსნელის ხელმძღვანელობით გააცნობიერებენ „ღრმა ერთობას, ერის ყველა წევრის საერთო მეტაფიზიკურ იდენტობას“.

სულიერი საფრთხეების წინააღმდეგ მარადიულ ომში მყოფი რუსი ერი, ღვთაებრივი არსებაა, რომელიც მითიურ თვითმარქვია ლიდერს ემორჩილება. მხსნელი საკუთარ თავზე იღებს გაათავისუფლოს ხალხი ყველა ფაქტისა და ვნებისგან, რითაც უაზრობად აქცევს ყოველი რუსის მისწრაფებას, დაინახოს, იგრძნოს ან შეცვალოს სამყარო. კორპორაციულ სტრუქტურაში თითოეული რუსის ადგილი ისევე იქნება განსაზღვრული, როგორც თითოეული უჯრედისა – სხეულში. თითოეული რუსი ამ უძრაობას თავისუფლებად აღიქვამს. რუსები მხსნელის ირგვლივ გაერთიანდებიან, ცოდვებისგან სხვისი სისხლით განიწმინდებიან და ღმერთსაც დააბრუნებენ სამყაროში. ქრისტიანული ფაშისტური ტოტალიტარიზმი უხმობს ღმერთს, მოვიდეს და დაეხმაროს რუსეთს, რათა მან ისტორია საბოლოოდ

დაასრულოს.

ილინმა ადამიანს ქრისტეს როლი მიანიჭა და ღმერთის სახელით სიყვარულის კანონების დარღვევა მოსთხოვა. ამით მან მოსპო ზღვარი ადამიანურსა და ზეადამიანურს, შესაძლებელსა და შეუძლებელს შორის. ფანტაზიაში მარადიულად უცოდველი რუსეთი გულისხმობს მარადიულად უმწიკვლო მხსნელს, რომელიც არ სჩადის ცოდვას და, შესაბამისად, უკვდავია. ილინი ვერ უპასუხებდა კითხვას, თუ ვის შეიძლებოდა მხსნელი შეეცვალა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ მხსნელი დაბერდებოდა, მოკვდებოდა და ისევე იქცეოდა არასრულყოფილი სამყაროს ნაწილად, როგორც დანარჩენები. ილინს არ ჰქონდა წარმოდგენა, თუ როგორ უნდა გადარჩენილიყო რუსეთის სახელმწიფო მისი სიკვდილის შემდეგ.

მომავალის შიში აჩენს საფრთხის უსიამოვნო განცდას, რომ შეიძლება საგარეო პოლიტიკა სხვების მიერ იყოს ორგანიზებული. ტოტალიტარიზმი საკუთარი თავის მტერია და ესაა საიდუმლო, რომლის შენახვასაც ის მხოლოდ მაშინ ახერხებს, როდესაც სხვებს ესხმის თავს.

2010-იან წლებში ილინის იდეები კარგად გამოიყენეს პოსტსაბჭოთა მილიარდერებმა და შესაბამისად, იზრუნეს მისი ავტორიტეტის დაცვაზე. პუტინმა, მისმა მეგობრებმა და მოკავშირეებმა უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვეს კანონის გვერდის ავლით და შემდეგ, ამ ქონების შესანარჩუნებლად სახელმწიფო საკუთარ თავს მოარგეს. ამის შემდეგ, რუს ლიდერებს მოუწიათ პოლიტიკა განესაზღვრათ, არა როგორც საქმიანობა, არამედ როგორც ინსტრუმენტი. ილინის იდეოლოგიის მიხედვით ნაწარმოები პოლიტიკა მიზნად ისახავს ახსნას, თუ რატომ აქვთ ზოგიერთებს სიმდიდრე და ძალაუფლება, თუკი სიხარბე და ამბიციები აკლიათ. რომელ ყაჩაღს არ ურჩევნია მხსნელს უწოდებდნენ?

1970-იან წლებში საბჭოთა კავშირში გაზრდილი მამაკაცებისთვის ილინის იდეები გასაგები აღმოჩნდა სხვა მიზეზის გამოც. იმ თაობის 2010-იან წლებში ხელისუფლებაში რუსი კლეპტოკრატებისთვის ფილოსოფოსის აზროვნების სტილი ნაცნობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ილინი ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, მისი არგუმენტები შემაშინებლად ჰგავდა მარქსიზმს, ლენინიზმსა და სტალინიზმს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს კარგად ჰქონდა გათავისებული. მიუხედავად იმისა, რომ რუსი კლეპტოკრატები სულაც არ არიან ფილოსოფოსები, ახალგაზრდობაში მიღებულმა ცოდნამ მათ გაუადვილა დაესაბუთებინათ ის, რაც მოგვიანებით დასჭირდათ. ილინსა და მარქსიზმს, რომელსაც ის დაუპირისპირდა, ერთი ფილოსოფიური საწყისი და ენა ჰქონდა:

ჰეგელიანიზმი.

ჰეგელს ჰქონდა ამბიცია, გადაეჭრა განსხვავება იმას შორის, რაც არის და რაც უნდა იყოს. მისი აზრით, რაღაც, სახელწოდებით „მსოფლიო სული“, ანუ ყველა აზრისა და გონების ერთიანობა, დროთა განმავლობაში ეპოქების განმსაზღვრელი კონფლიქტების მეშვეობით ჩნდებოდა. ჰეგელის იდეები ჩვენი შერყვნილი სამყაროს დასანახად საკმაოდ კომფორტულია, რადგან ის ვარაუდობდა, რომ კატასტროფა პროგრესის მანიშნებელია. ისტორია „სასაკლაოა“ მაგრამ სისხლისღვრას მიზანი აქვს. ამ იდეამ ფილოსოფოსებს საშუალება მისცა, საკუთარი თავი წარმოედგინათ წინასწარმეტყველებად და ფარული კანონზომიერების მცოდნეებად, რომლებსაც პროგრესი მოაქვთ; მსაჯულებად, რომლებიც ახლა იტანჯებიან, რათა მომავალში დანარჩენებმა იხარონ. თუ მსოფლიო სულია ერთადერთი სიკეთე, მაშინ ნებისმიერი საშუალება, რომელიც ისტორიამ აირჩია მის განსახორციელებლად, ასევე გამართლებული იქნება.

კარლ მარქსი კრიტიკულად აფასებდა ჰეგელის იდეას მსოფლიო სულის შესახებ. ის და ჰეგელის სხვა მემარცხენე მიმდევრები ამბობდნენ, რომ ჰეგელმა ასე, სულის სახელით ღმერთი შემოიყვანა თავის სისტემაში. აბსოლუტური სიკეთე, ვარაუდობს მარქსი, იყო არა ღმერთი, არამედ არსი, რომელიც ადამიანმა დაკარგა. ისტორია ბრძოლაა, მაგრამ მისი საზრისი ადამიანის მიერ გარემოებების დაძლევაა საკუთარი არსის აღსადგენად. ტექნოლოგიების გაჩენამ, ამტკიცებდა მარქსი, ზოგიერთს საშუალება მისცა, ებატონა სხვებზე და სოციალური კლასები ჩამოაყალიბა. კაპიტალიზმის პირობებში ბურჟუაზია აკონტროლებდა წარმოების საშუალებებს და ჩაგრავდა მშრომელთა მასას. სწორედ ეს ჩაგვრა ასწავლიდა მუშებს ისტორიის არსს და რევოლუციონერებად აქცევდა. პროლეტარიატი დაამხობდა ბურჟუაზიას, წაართმევდა წარმოების საშუალებებს და ამით აღიდგენდა ადამიანი საკუთარ არსს. მარქსი ფიქრობდა, რომ მას შემდეგ, რაც საკუთრება აღარ იარსებებდა, ადამიანები ერთად იმუშავებდნენ და ბედნიერად იცხოვრებდნენ.

ილინი მემარჯვენე ჰეგელიანელი იყო. მან მოხდენილად თქვა, რომ მარქსი არც კი გასცდენია ჰეგელიანიზმის „ჭიშკარს“. მიუხედავად ამისა, ილინი აღიარებდა, რომ ჰეგელის მსოფლიო სულის ქვეშ ღვთაებრივი იგულისხმებოდა. ილინი, მარქსის მსგავსად, თვლიდა, რომ ისტორია პირველი ცოდვით დაიწყო, მაგრამ ის ჩაიდინა არა ადამიანმა, რომელმაც გამოიგონა საკუთრება (როგორც მარქსისტები ფიქრობდნენ), არამედ თავად ღმერთმა, რომელმაც შექმნა სამყარო. ილინმა, მემარცხენე ჰეგელიანების მსგავსად, არ მოკლა ღმერთი, არამედ დაჭრილი და მარტოსული მიატოვა. ადამიანების ცხოვრება ღარიბი და ქაოსური იყო, როგორც მარქსისტები

ფიქრობდნენ, მაგრამ არა ტექნოლოგიებისა და კლასობრივი ბრძოლის გამო. ხალხი იტანჯებოდა, რადგან ღვთის ქმნილება მუდმივად იბრძოდა. ფაქტებსა და ვნებებს რევოლუცია ვერ გააერთიანებდა, ეს მხოლოდ გამოსყიდვით იყო შესაძლებელი. ერთიანობა მხოლოდ ღვთის წიაღში მიიღწეოდა, რომელიც რჩეული ერს უნდა აღედგინა მხსნელის მიერ აღსრულებული სასწაულის წყალობით.

ვლადიმერ ლენინი (1870-1924) ყველაზე მნიშვნელოვანი მარქსისტია, რადგან მან რევოლუცია ფილოსოფიის სახელით მოახდინა. ლენინს, რუსეთის იმპერიის პატარა და არალეგალური პარტიის აქტივისტს, სჯეროდა, რომ დისციპლინირებულ ელიტას ჰქონდა უფლება, აჩქარებინა ისტორია. თუკი სამყაროსთვის ერთადერთი სიკეთე ადამიანის არსის აღდგენა იყო, მაშინ მათთვის, ვინც იცოდა, თუ როგორ უნდა ემოქმედა, დასაშვები ხდებოდა პროცესის დაჩქარება. სწორედ ამგვარმა მსჯელობამ გახადა შესაძლებელი 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუცია. საბჭოთა კავშირს მართავდა ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომლებიც ლეგიტიმაციას „გარდაუვალობის პოლიტიკიდან“ იღებდა. ლენინი და ილინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ უცნაურად ახლობლები იყვნენ: ლენინის მამის სახელი იყო „ილიჩი“ და ფსევდონიმად იყენებდა „ილინ“-ს; ნამდვილი ილინი კი კითხულობდა და განიხილავდა მის ზოგიერთი ნაწარმოებს. როდესაც ილინი ბოლშევიკურმა საიდუმლო პოლიციამ – ჩეკამ დააპატიმრა, ლენინი ჩაერია და გამოეხატა თავისი აღტაცება ილინის ფილოსოფიით.

ილინის სძულდა ლენინის რევოლუცია, მაგრამ მხარს უჭერდა მის ძალადობასა და ვოლუნტარიზმს. ისიც ლენინივით ფიქრობდა, რომ რუსეთს მიზნებისა და საშუალებების განსასაზღვრად სჭირდებოდა ფილოსოფიური ელიტა (ანუ, თვითონ). მარქსისტული სოციალისტური უტოპიის მსგავსად, ილინის „ღვთაებრივ მთლიანობას“ სჭირდებოდა ძალადობრივი რევოლუცია, უფრო სწორად, ძალადობრივი კონტრრევოლუცია. ეს მსგავსება სხვა რუსმა ფილოსოფოსებმაც დაინახეს. ნიკოლაი ბერდიაევმა ილინის ნაწარმოებებში აღმოაჩინა „ბოროტი სიკეთის კოშმარი“. 1925 წელს ილინის წიგნის მიმოხილვისას ბერდიაევმა დაწერა, რომ „ჩეკა ღვთის სახელით უფრო შემზარავია, ვიდრე ჩეკა ეშმაკის სახელით“. მისი მოსაზრებები წინასწარმეტყველური გამოდგა: „ბოლშევიკებს არ ექნებათ ფუნდამენტური პრობლემა მიიღონ ივან ილინის წიგნი. ისინი თავს აბსოლუტური სიკეთის მატარებლებად თვლიან და მისი სახელით ეწინააღმდეგებიან მათ, ვისაც უკეთურებად მიიჩნევენ“.

ლენინის მემკვიდრეების მოსაზრებები გერმანიასა და შვეიცარიაში მცხოვრები, უკვე მოხუცებული ილინის იდეებს გვახსენებს. ლენინის სიკვდილის შემდეგ, 1924 წლიდან ძალაუფლება იოსებ სტალინმა აიღო ხელში. ილინის მსჯელობას

დასავლური კულტურის გადამდები გარყვნილების შესახებ უმცირეს დეტალებამდე იზიარებდნენ სტალინისტები. მაგალითად, ილინს სჯეროდა, რომ ჯაზი მიზანმიმართული შეთქმულება იყო, რომლის მიზნად ისახავდა ევროპელი მსმენელი უგონო მოცეკვავეებად ექცია, რათა მათ ნორმალური სქესობრივი კავშირის უნარი დაეკარგათ. კომუნისტური პარტიის გაზეთმა „პრავდამ“ აფროამერიკული მუსიკის შესახებ უცნაურად მსგავსი შთაბეჭდილება აღწერა: „ჯაზს ადამიანი-კენტავრი უნდა დირიჟორობდეს გიგანტური ფალოსით“. მიუხედავად იმისა, რომ ილინი წერდა წიგნებს სტალინური ტერორის შესახებ, მისი დამოკიდებულება არსებითად მსგავსი იყო იმათ მიმართ, ვისაც დამნაშავეებად თვლიდა. ანდრეი ვიშინსკი, ცნობილი პროკურორი, სტალინური პროცესების სახელმწიფო ბრალმდებელი, თვლიდა, რომ „ფორმალური კანონი ექვემდებარება რევოლუციის კანონს“. მომავალ კონტრრევოლუციონერებს, ილინის მიხედვით, სწორედ ასე უნდა ემოქმედათ.

მიუხედავად იმისა, რომ ილინი თავიდან ფიქრობდა, რომ მეორე მსოფლიო ომი გაანადგურებდა სტალინურ საბჭოთა კავშირს, შემდგომში მან რუსეთი ზუსტად ისე წარმოადგინა, როგორც სტალინმა. მან სსრკ-ს სოციალიზმის სამშობლო უწოდა. თუკი საბჭოთა კავშირი განადგურდებოდა, კომუნიზმს მომავალი აღარ ექნებოდა და კაცობრიობის ერთადერთი იმედი დაიკარგებოდა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დასაცავად გამართლებული იყო ნებისმიერი ქმედება. ილინი აღიქვამდა რუსეთს, როგორც ღმერთის სამშობლოს, რომელიც უნდა გადარჩენილიყო ნებისმიერ ფასად, რადგან ეს იყო ერთადერთი ტერიტორია, საიდანაც შეიძლებოდა ღვთაებრივი მთლიანობის აღდგენა. ომის შემდეგ სტალინმა უპირატესობა მიანიჭა რუს ერს (უკრაინის, ბელორუსის, ცენტრალური აზიის, კავკასიის, საბჭოთა კავშირის ათობით ხალხისგან განსხვავებით). რუსეთმა, სტალინის მტკიცებით, იხსნა მსოფლიო ფაშიზმისგან. ილინი კი ფიქრობდა, რომ რუსეთი გადაარჩენს მსოფლიოს არა ფაშიზმისგან, არამედ მისი დახმარებით. ორივე შემთხვევაში აბსოლუტური სიკეთის ერთადერთი მატარებელი იყო რუსეთი, ხოლო მუდმივი მტერი – გარყვნილი დასავლეთი.

საბჭოთა კომუნიზმი „გარდაუვალობის პოლიტიკის“ ნაირსახეობა იყო, რომელიც „მარადისობის პოლიტიკას“ დაემორჩილა. ათწლეულების შემდეგ რუსეთის, როგორც მანათობელი ვარსკვლავის იდეა, ჩანაცვლდა ქვეყნის სურათ-ხატით, რომელიც განუწყვეტლად მტრობის მსხვერპლი ხდებოდა. თავიდან ბოლშევიზმი სახელმწიფოს კი არ გულისხმობდა, არამედ რევოლუციას, იმედს, რომ დანარჩენ მსოფლიოში სხვებიც მიჰყვებოდნენ რუსეთის მაგალითს. ბოლშევიკებმა

სახელმწიფოს შენება მოგვიანებით დაიწყეს, სურდათ სოციალიზმი კაპიტალიზმის მიბაძვით აეშენებინათ და შემდეგ დაეძლიათ. სტალინიზმი, როგორც მომავლის ხედვა, ამართლებდა მილიონობით ადამიანის ამოხოცვას შიმშილით და ასევე, მილიონობით სიკვდილს – 1930-იან წლებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სცენარი შეიცვალა. სტალინი, მისი მომხრეები და მემკვიდრეები 1945 წლის შემდეგ აცხადებდნენ, რომ 1930-იანი წლებში საკუთარი მოსახლეობის ხოცვა აუცილებელი იყო 1940-იან წლებში გერმანელების დასამარცხებლად. თუ 1930-იანი წლები საჭირო იყო 1940-იანი წლებისთვის მოსამზადებლად, იგივე არ უნდა მომხდარიყო სოციალიზმის შორეულ მომავალში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო საბჭოთა პოლიტიკის „გარდაუვალობის“ ჩანაცვლება „მარადიულობის“ რუსული პოლიტიკით.

სტალინის ეკონომიკურმა პოლიტიკამ, დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ხარჯზე, უზრუნველყო სსრკ-ს მოსახლეობის სოციალური მობილურობა ორი თაობისთვის, მაგრამ არა – სამისთვის. 1950-იან და 1960-იან წლებში საბჭოთა ლიდერები შეთანხმდნენ, რომ აღარ დაეხოცათ ერთმანეთი, რამაც პოლიტიკიდან დინამიკა გააქრო. 1970-იან წლებში ლეონიდ ბრეჟნევმა გადადგა ლოგიკური ნაბიჯი „მარადიულობის პოლიტიკისკენ“ და მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა ისტორიის აპოგეად წარმოაჩინა. საბჭოთა მოქალაქეებს დაევალათ, რომ ეყურებინათ არა მომავლისკენ, არამედ წარსულისკენ – მეორე მსოფლიო ომში მშობლების ან ბებია-ბაბუის ტრიუმფისთვის. ახლა დასავლეთი მხოლოდ კაპიტალიზმის გამო კი აღარ იყო მტერი, არამედ იმიტომ, საბჭოთა კავშირში 1941 წელს შემოიჭრა. 1960-იან და 1970-იან წლებში დაბადებული საბჭოთა მოქალაქეები აღიზარდნენ წარსულის კულტით, რომელიც დასავლეთს განსაზღვრავდა, როგორც მუდმივ საფრთხეს. საბჭოთა კომუნიზმის ბოლო ათწლეულებმა საბჭოთა მოქალაქეები მოამზადა სამყაროს შესახებ ილინის მოსაზრებების მისაღებად.

ოლიგარქებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში 1991 წლის შემდეგ გაჩნდნენ, უწევდათ გამკლავება კომუნიზმის დროინდელ წარმოების ცენტრალიზაციასთან, რუსი ეკონომისტების იდეებთან და ასევე – რუსი ლიდერების სიხარბესთან. მდგომარეობა განსაკუთრებით დაამძიმა ამერიკულმა სიბრძნემ იმის შესახებ, რომ ბაზრები თავად შექმნიდა ინსტიტუტებს და არ უზრუნიათ იმაზე, ინსტიტუტები ბაზრებისთვის რომ იყო საჭირო.

ოცდამეერთე საუკუნეში დასავლეთის დადანაშაულება გაცილებით უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთში შექმნილი ვითარების ფხიზლად შეფასება. რუსეთის ლიდერები, რომლებიც 2010-იან წლებში დასავლეთს აკრიტიკებდნენ,

სწორედ ისინი იყვნენ, რომელთაც ეროვნული სიმდიდრე მიისაკუთრეს. ისინი, ვინც ილინის იდეებს რუსეთის ხელისუფლების მაღალი პოსტებიდან ავრცელებდნენ, რუსული კაპიტალიზმისაგან არ დაზარალებულან, პირიქით – იხეირეს. პუტინის გარემოცვამ ყველაფერი გააკეთა, რათა ქვეყანაში არ დამდგარიყო კანონის უზენაესობა, მათ თავად შექმნეს და ისარგებლეს სახელმწიფოს კორუფციული მონოპოლიით. რადიკალური უთანასწორობა რუსეთში ილინის იდეებით განიწმინდა, პოლიტიკის აქცენტი რეფორმებიდან უმწიკვლოებისკენ გადაიხარა, ხოლო დასავლეთი მოინიშნა, როგორც სულიერი საფრთხის მუდმივი წყარო.

რუსული სახელმწიფოს ილინის იდეების მიხედვით აშენება შეუძლებელი იყო. თუმცა, სწორედ ისინი დაეხმარა მძარცველებს, თავი მხსნელებად წარმოეჩინათ. ილინის იდეებით შეიარაღებულმა ახალმა ლიდერებმა მონიშნეს მტრები და გამოიგონეს არარსებული პრობლემები, რომლებიც, ცხადია, ვერ გადაიჭრებოდა. ასეთია, მაგალითად, დასავლეთიდან მუდმივად მომდინარე საფრთხე. მოსაზრება, რომ ევროპა და ამერიკა მარადიული მტრები არიან, რომლებიც შურით უყურებენ უმწიკვლო რუსულ კულტურას, ტყუილი იყო, თუმცა, სწორედ ის განსაზღვრავდა რეალურ პოლიტიკას და მიზნად ისახავდა გაეუფასურებინა დასავლეთის ყველა მიღწევა, რომელთა დანერგვაც რუსებმა საკუთარ ქვეყანაში ვერ შეძლეს.

„მარადიულობის პოლიტიკა“ პუტინს ან სხვა ადამიანს უკვდავად ვერ აქცევს. მაგრამ შეუძლია „არასაჭირო“ იდეები სრულიად განდევნოს. მარადიულობა სწორედ ამას ნიშნავს: მუდმივად ერთსა და იმავეს, მოწყენილობასა და მონოტონურობას და ილუზიას, რომ ეს „მარადიულობა“ სწორედ მათ ეკუთვნით. რასაკვირველია, ეს გრძნობა „ჩვენ და ისინი“, ან, როგორც ფაშისტები ამბობდნენ, „მეგობრები და მტრები“, ყველაზე ბუნებრივი ადამიანური გამოცდილებაა; მაგრამ იცხოვრო მხოლოდ ამით, ნიშნავს, რომ მსხვერპლად გაიღო ინდივიდუალურობა.

„გარდაუვალობასა“ და „მარადიულობას“ შორის ერთადერთი რამაა – ისტორია, რომელზედაც მსჯელობენ და სადაც სახლობენ ინდივიდები. თუკი „გარდაუვალობასა“ და „მარადიულობას“ გავიაზრებთ, როგორც იდეებს საკუთარ ისტორიაში, იმასაც მივხვდებით, თუ რა მოხდა ჩვენს თავს და როგორ უნდა ვიმოქმედოთ. ტოტალიტარიზმი არა მხოლოდ ინსტიტუტებს ემუქრება, არამედ ინდივიდებსაც.

ინდივიდზე გააფთრებული თავდასხმისას ილინი ინდივიდუალიზმს იმ პოლიტიკურ სათნოებად აღიარებს, რომელიც შესაძლებელს ხდის ყველა დანარჩენ სიკეთეს. გვესმის თუ არა, რომ სიკეთე მრავალსახოვანია, რომ პოლიტიკას სჭირდება გონივრული შეფასება და არჩევანი და არა მთლიანობის ჭვრეტა? ვხედავთ თუ არა, რომ მსოფლიოში არიან სხვა ადამიანები, რომლებიც მუშაობენ, რათა იგივე

ამოცანები გადაჭრან? ვაცნობიერებთ თუ არა, რომ ინდივიდუალური არსებობა მოითხოვს უსასრულო რაოდენობის ფაქტების დაუსრულებელ განხილვას, მუდმივი არჩევანის კეთებას უამრავ დაუძლეველ ვნებათა შორის?

ინდივიდუალიზმის სათნოება აქ და ახლა ტანჯვაში ჩანს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადარჩენა, თუკი საკუთარ თავს ისტორიასა და ისტორიის ჩარჩოებში დავინახავთ და თუკი საკუთარ თავზე ავიღებთ პასუხისმგებლობას.